ქ. წამებულის გამზ. 65
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 274 74 08
ვებ-გვერდი: www.ganc.ge

ქართულ - ამერიკული საექთნო
საზოგადოებრივი კოლეჯი

65 K. Tsamebuli Ave.
Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 274 74 08
web-site: www.ganc.ge

შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ დირექტორის

ბრძანება # 02-09

ქ. თბილისი 07 იანვარი 2017 წ.

შპს „ქართულ-ამერიკულ საექთნო საზოგადოებრივ კოლეჯში“ სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ

1. დამტკიცდეს შპს ,,ქართულ-ამერიკულ საექთნო საზოგადოებრივ კოლეჯში“ სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის თანდართული წესი.

2. ამ ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელება უზრუნველყოს შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ უსაფრთხოების საკითხთა და სამედიცინო სამსახურის უფლებამოსილმა თანამშრომლებმა.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მაია ჯაში

დირექტორი

დამტკიცებულია შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ დირექტორის 2017 წლის 01 ოქტომბრიდან #02-09 ბრძანებით

შპს „ქართულ-ამერიკულ საექთნო საზოგადოებრივ კოლეჯში“ სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

შპს „ქართულ-ამერიკულ საექთნო საზოგადოებრივ კოლეჯში“ (შემდგომში - „კოლეჯი“) სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი ადგენს კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა და კოლეჯის პერსონალისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებს.

მუხლი 2. კოლეჯის უსაფრთხოების საკითხთა და სამედიცინო სამსახური

ამ წესის შესაბამისად, კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და კოლეჯში უსაფრთხოების (მათ შორის სახანძრო უსაფრთხოების) უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია კოლეჯის უსაფრთხოების საკითხთა და სამედიცინო სამსახური, მისი უფლებამოსილი თანამშრომლების - უსაფრთხოების მენეჯერისა და ექთნის/ექიმის სახით.

მუხლი 3. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი

1. კოლეჯში ფუნქციონირებს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო დახმარების ოთახი, რომელსაც ხელმძღვანელობს კოლეჯის დირექტორის მიერ დანიშნული სამედიცინო განათლების მქონე თანამშრომელი (შემდგომში - ექთანი/ექიმი).

2. ექთანი/ექიმი საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი ზომების გატარებას.

3. კოლეჯი უზრუნველყოფს სამედიცინო ოთახის აღჭურვას პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი მედიკამენტებით და ინვენტარით. მედიკამენტების ვარგისიანობის (ვადა, შენახვისათვის დადგენილი წესების დაცვა და ა.შ) შემოწმებას/კონტროლს ახორციელებს ექთანი/ექიმი.

4. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა და დასაქმებულ პირთათვის თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია კოლეჯის ექთნის/ექიმის საკონტაქტო ინფორმაცია.

5. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საჭიროებისას, რომელიც სცილდება კოლეჯის ექთნის/ექიმის კომპეტენციის ფარგლებს, მის მიერ გამოძახებული იქნება სასწრაფო სამედიცინო დახმარება და გატარდება შესაბამისი ზომები.

მუხლი 4. ექთნის/ექიმის უფლება მოვალეობები

1. ექთანი/ექიმი უფლებამოსილია:

ა) განსაზღვროს პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტების ნუსხა, კოლეჯის ადმინისტრაციას მოსთხოვოს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი მედიკამენტების ან/და სამედიცინო ინვენტარის შეძენა (მაგ. წნევის საზომი აპარატი, თერმომეტრი, პირადი ჰიგიენის ნივთები), აკონტროლოს მათი ხარისხი, შენახვა და გაცემა;

ბ) პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, გაათავისუფლოს პროფესიული სტუდენტი მეცადინეობიდან სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან შეთანხმებით და დაუკავშირდეს პროფესიული სტუდენტის კანონიერ წარმომადგენელს ან მოახდინოს მისი ჰოსპიტალიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) განახორციელოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებები.

2. ექთანი/ექიმი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს კოლეჯის წინაშე სამედიცინო კუთხით არსებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულება.

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პირველადი სამედიცინო დახმარება გაუწიოს კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს და პერსონალს.

გ) უზრუნველყოს კოლეჯის სამედიცინო, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა. უფლებამოსილია განახორციელოს მონიტორინგი კოლეჯის სველი წერტილების, შენობის

ჰიგიენურ მდგომარეობაზე, ეზოს დასუფთავებაზე, შეიმუშაოს წინადადებები და წარუდგინოს კოლეჯის დირექტორს.

დ) უზრუნველყოს და აკონტროლოს სამედიცინო ინვენტარისა და მედიკამენტების ვარგისიანობა, შენახვა და გაცემა;

ე) უზრუნველყოს ინფექციური თუ ვირუსული დაავადების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით უფასო სამედიცინო კონსულტაციების გაწევა, კომპეტენციის ფარგლებში, კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის.

3. კოლეჯის ექთანი/ექიმი ანგარიშვალდებულია კოლეჯის დირექტორის წინაშე;

მუხლი 5. პროფესიულ სტუდენტთა და კოლეჯის პერსონალის უსაფრთხოება

1. კოლეჯის შენობა (შესაბამისი ფართი, რომელიც დაკავებული აქვს კოლეჯს) აყვანილია ცენტრალიზებული დაცვის სისტემაზე.

2. კოლეჯის უსაფრთხოების საკითხთა და სამედიცინო სამსახურის სტრუქტურაში შედის უსაფრთხოების მენეჯერი, რომელიც, კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით, კოლეჯის დებულებით, ამ წესითა და კოლეჯის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს კოლეჯის, მის პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

3. კოლეჯში უცხო პირთა შესვლა არ დაიშვება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი დაშვების შესახებ კოლეჯის პერსონალი წინასწარ მიმართავს კოლეჯის უსაფრთხოების მენეჯერს. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯის დირექტორი, უსაფრთხოების მენეჯერთან კონსულტაციის შედეგად, ამტკიცებს კოლეჯის შენობაში დაცვისა და სასაშვო სისტემის სპეციალურ რეჟიმებს.

მუხლი 6. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საგანგებო ვითარება.

1. კოლეჯში თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, ევაკუაციის პროცედურები, რომლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის უსაფრთხო დატოვება.

2. კოლეჯი აღჭურვილია შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, ცეცხლ-მაქრობით, რომელიც განთავსებულია შესაბამის ადგილებში და მისი გამოყენების ინსტრუქცია გამოკრულია აღნიშნულ ინვენტართან და ახსნილია კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის.

3. კოლეჯის სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს უსაფრთხოების მენეჯერი და კოლეჯის დირექტორის მიერ განსაზღვრული სხვა უფლებამოსილი თანამშრომელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). აღნიშნული პირი/პირები, კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფენ შესაბამის პრევენციულ ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელებას.

4. საგანგებო ვითარების დროს საჭიროების შემთხვევაში, უსაფრთხოების მენეჯერი უკავშირდება შესაბამის უწყებებს (სასწრაფო, სახანძრო, საპატრულო პოლიცია და ა.შ).

მუხლი 7. უსაფრთხოების მენეჯერის ვალდებულება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მომსახურების კუთხით

უსაფრთხოების მენეჯერის ვალდებულებას განეკუთვნება კოლეჯში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მომსახურების (დახმარების) გაწევა (საჭიროების შემთხვევაში), კოლეჯის ინფრასტრუქტურით შეუფერხებელი სარგებლობისა და სასწავლო პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 8. დასკვნითი დებულება

წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.